წელ. პირველი | კვირას, 17 აპრილს 1906 წ. | № 1




გამოდის ყოველ კვირას
ღირს 3 მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჯვარი ვაზისა“
კათოლიკების ქუჩა № 4

## ამ წლის თვიდამ გამოდის სურათებიანი ყოველ კვირეული საეკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი

# „ჯვარი ვაზისა“

### სრულის პროგრამით

ფასი გაზეთისა ერთის წლით 4 მან., 26 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირება მხოლოდ 3 მანეთად, ცალკე ნუმერი 10 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში — 1 „ჯვარი ვაზის“ რედაქციაში კათოლიკების ქ. № 4 კათოლიკეთა ეკლესის. სახლში წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ბ. შ. ქურუკაშვილთ.ნ.

სახლობა-ოჯახობა, მისი ზნეობრივი და სოციალური (საზოგადოებრივი) მოქმედების ასპარეზი.

**სახლობა ოჯახობა არის საზოგადოება ბუნებრივი და საჭირო.**

ამხანაგი მისთვის კაცი იშობა საზოგადოებისათვის, შინაურობისათვის, და მისი განსაკუთრებითი ცხოვრების ასპარეზი არის რომ იცხოვროს საზოგადოებაში, გარნა არის ორ ნაირი საზოგადოება: 1)საზოგადოებანი შეკრებულნი. და 2) საზოგადოებანი ბუნებრივნი. ამორჩეული საზოგადოება არის ის კრება, სადაც არჩევნები არიან და თავისუფლად ელტვიან, ჰმოქმედობენ, მაგალითად: საზოგადოება ურთიერთობის შეწევნის აღმომჩენელი სინდიკატი (აღმორჩეული პირთაგან კაცთა ინტერესების დასაცველად წარმომადგენელნი პირნი), ძმობა ხელოსანთა ერთობა ან წოდებათა შეთანხმება, გარნა ბუნებრივი საზოგადოებანი არიან ისინი, რომელშიც ვიბადებით, მაგალითად: სამშობლო, ოჯახობა, სახლობა.

როგორც კაცობრივი კარგი იქმნებოდა რომ საზოგადოება და სამშობლო არიან დიად ვრცელნი, მათში აღმოჩნდებოდნენ კერძო საზოგადოებანი, რომელთა შემაერთებელი კავშირი იქმნებოდა ადამიანთა ერთი სარგებლობა (ინტერსი,) და ერთი და იგივე თანაგრძნობა სადაც კაცს შესძლებოდა მომეტებულის თავგანწირულებით კაცობრიობისათვის მოეტანა ნივთიერი და ზნეობრივი შველა, შეწევნა.

სოციალურ ზნეობას აქვს აღსასრული რომ განსაზღვროს თუ რა ვალდებ ადევს კაცს თვის არსებაში, საზოგადოებაში და საზოგადოებისათვის საკუთრივ. სოციალურმა ზნეობამ როგორ უნდა და რა ფერად მოაგვაროს თვისი საქმე რომ გასცეს პასუხი სახლობ-ოჯახობას, თვის წოდებას, თვის სამშობლოს და თვისის მთელ კაცობრიობას.

**სახლობ-ოჯახობა უძველესი საზოგადოება ყოველ სოფლობა და საზოგადო მთავრობა.**

სახლ-ოჯახობა არის ადამიანისათვის უპირველესი ბუნებრივი საზოგადოება. მისგან წარმოდგება მისი მოქმედების ზნეობრივი და სოციალური ასპარეზი.

სახლ-ოჯახობა ერთი მეორეს დაუახლოვოთ სიმრავლით შეადგენს წარმოშობს ეროვნობას. რამდენსაც ვკითხულობთ, ვუკვირდებით ცნობილ ხალხთა (ეროვნებათა) ძველ დროის კაცობრიობის ისტორიას, როგორადაც ებრაელთა, ბერძენთა, რომაელთა მაშინ ადვილად დავინახავთ რომ უწინდელი საზოგადოება შესდგებოდა რამდენიმე სახლ-ოჯახობითა, რომელთ მოთავეებ ჰყავდათ ერთი კაცი ან მამა სახლისი: მამა-მთავარი, ან სახლთ უხუცესი, რომელიც იყო წეს კანონის დამდე, მეფე, დამცველი, მფარველი და მსაჯული. სახლ-ოჯახობამ არ მიიღო წეს-კანონმოქალაქური ცხოვრებიდგან, არამედ სახლ ოჯახობამ მისცა თვის წეს-წყობილება და კანონი. კერძო უფლება ჰგიებდა უწინარეს საზოგადო უფლებისა, რომელიც არიან ნაყოფნი პირველ რწმუნებათა და არა შრომანი რომელიმე სჯულ კანონის დამაარსებელისა. სახლ-ოჯახობა არის ერთი სხეული გაწესრიგებული სახლ-ოჯახებრივი კავშირით მამა არ არის კაცი ძლიერი, მხოლოდ დამცველი გამომსარჩლებელი, იგი არის მღვდელი და განძი ოჯახისა. მისი სახელი ერთი და იგივე, როგორც მეფე უმფროსი; აი ამისგან წარმოსდგება მამის ავტორიტეტობა და პირველი ზნეობა, რომელიც ადამიანი დიდის სინამდვილით და სიმტკიცით უცხადებს მ... სახლ-ოჯახობის ვალდებათა. ეროვნება არის ერთობა, შეერთებული სხეული, რომელსაც რომ... და ათინაში შეხვდებით, რომლის არსებითი ნიშანი არის, რომ მასშივე მოიპოვება რელიგიოზნური გრძნობა და უფლება. ეროვნება არის სახლ-ოჯახობა რომელსაც აქვს თვისი უძველესი, უპირველესი წეს-წყობილება, მისი შეერთება არის დაფუძნებული არწმუნოებაზედ. აი ეს არის უუძველესი საზოგადოების გარეგნული სახე.

მაგრამ ძველი სახლ-ოჯახი უვრცესია ვიდრე ახალ-დროინდელი. ძველად ოჯახობისა მონაწილეც იყო მსახურნიც, რომელნიც წარმოსდგა ... რიბს და მდიდარს შუა; ურთი-ერთობის საჭიროებისგან მათ ჰქონდათ თავისი წესი და რიგი, როგორც შეულლებისა ისე ნაშვილარობისა. ამ დროიდგან მსახურნი ყმანი შეიძენდნენ ლოცვისა ... რწმენის უფლებასა და მით შეუერთდებოდნენ ...ნუყრელად სახლ-ოჯახობას. ქვალად თუ ბატონი თვისი მსახური განეთავისუფლებინა და ყმობილნაც გამოერიცხა, მაშინ მსახური ერისაგან ვერ გ... ვიდოდა, არამედ ხდებოდა თავის ბატონის მოვალე და მაშინ ბატონის და მსახურის შუა იბადებოდა შეურყეველი ვალდებანი ერთი მეორეში.

მოჯამაგირობა მსახურებათა უფლების ქვემდებარეა. სახლ-ოჯახობაში იყო ვიდრე მოქალაქო... დაწესდებოდა.

მრავალ სახლ ოჯახობას შეეძლოთ აღენ...

თავიანთი კერძო სარწმუნოების შეულახავად შეერთებულიყვნენ სხვა სოფლებთან ერთად და სდლესაწაულად რომელიმე საზგადო დღებასწაული, აი ამას შემდეგ იყო, რომ შესდგნენ სხვა და სხვა რელიგიოზნური ურ თი ერთა რწმენანი მხარეთა, შთამამავლობათა და ქილაქთა. ყოველა თვითეულ ამ საზოგადოებას ჰქონდა თავისი საკუთარი საკურათხეველი, წესრიგი, ღმერთი, მღვდელი და მთავარი. უმფროსი სახლ-ოჯახობას, ეროვნებას, მოქალაქობას, ერთი ერთმანეთისაგან განურჩეველი საზოგადოებანი არიან, ერთიცა და მეორეც ფედერაული შეერთებით წარმოშობილნი არიან."

რომის ისტორია ამას ნათლად გვიმტკიცებს მა ევოლიუციის (სოციალურ არსებობის წინ მსვლელმსვლელობას). კლასიკურ დროს რომში, ნაციის (ეროვნული) კრება იყო შემდგარი მამასახლისთაგნ. სენატორნი იწოდებოდნენ რომში (pares Conscripti) მამანი რჩეულნი და მამასახლისათა, რომელიმე უმთავრესო სახლ-ოჯახისათა ეწოდებოდათ **patritius** თავადთ.

**ურთიერთობა სახლ ოჯახის და მთავრობისა.**

სახლ ოჯახობანა ნელნელა შეიკრიბნენ შეერთდნენ და შეადგინეს ერობა და მთავრობა და დაუთმეს, გადსცეს რომელიმე თავიანთი უფლებანი მთავრობას., საზოგადო ძლიერება უკეთ მოახერხბს, რომ დაიცვას წესიერება ბოროტება დაისჯოს და შემწეობა გახდეს საზოგადო.

საზოგდოებათა შეერთებამ ალხვნა სახლ-ოჯახობა. საზოგადოებამ გააწესრიგა ოჯახობა, მან შემოიღო კანონები უღლებაზედ, გაარჩია უფლებანი ცოლისა და ქმრსა მშობელთა და ყრმათა და ქონებთა გარდაცემა გააკანონიერა და სხვ.

მაგრამ მთავრობამ არა შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს, რომ სახლ-ოჯახობა ჰგიებს უწინარეს მისსა და თუ მთავრობამ უნდა შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებაში, ამავე დროს მთავრობა არ უნდა გადაელობოს თავის კანონიერ განვითარებაში და არ შეურაცჰყოს სახლ—ოჯახის უწმიდესი საქმე, როგორც არის ყრმათა აღზრდა და ახალ თაობის განადგურებას არ უნდა ცდილობდეს.

**იდეალი კაცობრივი ოჯახობისა და მისი კანონი.**

ოჯახობა, რომელსაც ქრისტიანულ მხარეში უყურებთ, მის საძირკვლად რა აქვს შეუღლება ერთი მამაკაცისა ერთ დედაკაცთანა სახარებისაგან რისა დაფუძნებული ყოველგან გარეშე ქრისტიანული სარწმუნოებისა; მძლავრ. ძუ იგი მამაკაცი უჯეროდ ხმარობს თავის სიმძლავრეს წინააღმდეგ უძლურის დასაჩაგვრავად დედაკაცისა და ყრმისა. კერპთ თაყვანის-მცემელი ურწმუნო ერში. დედა კაცი არის, ან ყმა ან მოახლე მამა კაცისა. ქრისტიანობა კი შეაუღლებს მათ და ცხოვრების ამხანაგად უხდის დედაკაცს. ეს ამხანაგობა, შეერთება არს სამნაირად წმიდა. ქალი, როგორც სათნო საყოფელ, უძლურებაში პატივცემული უმეტესად ყოველისა პატივ საცემელის დიდებაში. სახარებრივი ზნეობით სამი კანონი განსაზღვრის კაცობრივ სახლობის იდიალს. კანონი შეუღლობის სიმტკიცისა, კანონი ავტორიტეტობისა და ავქსონბისა და კანონი სიყვარულისა

კანონი მეუღლეობის სიმტკიცისა გამოცხადდება იმ შეირთებაში, რომელიც არის წმინდ კრულება სახლობისა. მათ შორს იდება პირობა მტკიცე და შეურყეველი.

კანონი ავქსინიბისა ამორჩილებს ყრმათა თავიანთ მშობლებსა არა ძალდატანებით, არამედ ღვთის პატივის გულისათვის, რადგან მშობელნი არიან წარმამადგენელნი ღვთისანი,

კანონი სიყვარულისა აცხოვლებს ოჯახობრივ ცხოვრებას და ჰირმნახულობასა.

პირუტყვი გაიზრდება რა ივიწყებს თავის მშობელთ, რომელი შვილი იქმნება ეგოდნად ზნეობით დაცემული, რომ დაივიწყოს თავისი მშობელნი. როდესაც თვითონ ახსულია უმწირვალეს სამღიდრის წრესა. სიყვარული აჩენს დედობრივ და მამობრივ გრძნობასა, წინად მზრუნველობას, თავგანწირულებას და ბრძნულ სიმტკიცეს, რომელიც ყრმათა გულიდგან გამოიწვევს პატიოსანსა და თავაზს მადრიელობას ქრისტიანული სიყვარულია, რომელიც ხდება ძეობრივი გულმოწყალეობა და ღვთის პატივისცემა.

მეუღლება.—უმძიმესი და ყველაზედ სერიოზნული საქმეა ოჯახობის დაარსება. სახლ-ოჯახობა შესდგება მეუღლობით. მეუღლობა, არის ერთი კანტრახტი პირობა, ხელშეკრულობა მაგრამ ამ კანტრიახტს აქვს საკუთარი საგანგებო თავისებური პირობა, რომლითაც ერთი მეორეს უერთებს სულსა, გრძნობასა და ხორცსა. სრული პიროვნებაა მოკავშირეთა შორის, მისი ალსასრული შეწყნარებული არის ორივესაგან; ამ შეუღლებაში იხატება სიყვარული და შვილების წარმოშობა, რომელიც უწმინდესი ალსასრულია მეუღლობისა და უამისოდ მეუღლობა უმიზნო კანტრახტი იქმებოდა.

მაშ მეუღლობის კანტრახტი არის არსებითად ზნეობრივი, რომელიც ათავაზიანებს ორთა მოკა-

ვშირეთა პირთა მამაკაცსა და დედაკაცსა და ჰყობს განუყრელს და დაურღვეველს მისთვის, რომ ორივენი არიან ერთი მეორეს თანახმა და ეს თანხმობა არის შეურყეველი.—

მეუღლობის კანთრახტი, პირობა, სისრულეში მოდის ორთა თავისუფალთა ნებიერთა დაწყნარებულ, დალაგებულ, დაფიქრებულ გარდაწყვეტით და ეს გარდაწყვეტილება შეწყნარებული და საქვეყნო ხდება, როდესაც იგინი ერთმანეთს ეთანხმებიან საქვეყნოდ.—

**ვალდებულებანი მეუღლობისა უწინ და შემდეგ მისა არსებობისა.**

უწინარეს შეუღლებისა ახალგაზდებმა ყველა საშუელებანი უნდა იხმარონ, რომ დაიცვან უმწიკვლოდ თავიანთი ჯანი, სიმრთელე და უმანკოება სისხლისა.

ახალგაზდობა უნდა ცდილობდეს, რომ აიცილოს ყოველი ფიზიკური უზომო თავ შეუკავლობა და არას დროს თავის თავს არ უნდა მისცეს ნება, რომ ჩაიდინოს ის საქმენი, რომელნიც მათ შემდეგში სანანელი გაუხდებათ; მათ უნდა უთუოდ დააწინაურონ თავიანთი სულიერი, გონებრივი და ზნეობრივი ძალა მასთვის, რომ მომავალში ადვილათ შეეძლოს აღსრულება თავიანთი სახლ-ოჯახობრივი ბედ გავლენა, რომელიც მათ უნდა იქონიონ სახლში.

თუ რომ რომელმე გადამდები და ჩამომავლობითი სენით არიან შეპყრობილნი, მაშინ ითხოვოჩევა და მის მიღების შემდეგ შეუდგნენ მეუღლობის ცხოვრებას. შეუღლების შემდეგ მეუღლეთა სჯირიათ ურთიერთობის მტკიცე მორწმუნეობის დაცვა, შემწეობა და მოვლა ყრადღება. ქმარი, თუ კანონიერი უფროსია ოჯახისა არ უნდა იყოს მასი სახლობის მტარვალი; მას მეუღლეში უნდა ხედავდეს თავის თანაბართანასწორესა განსაგებლად სახლის სიკეთისა და ქონებისა; რაც შეეხება მომავალი აღზრდისათვის თვისთა შვილთა, ქმარი და ცოლი ერთი ერთმანეთს უნდა ეჯიბრებოდნენ; ერთი მეორის სიყვარულში, პატივის ცემაში, ნაკლებულობის გატანაში და დათმენაში.

სახლობის ვალდებულება. მშობლები, შვილნი, ძმანი და დანი. სახლობის ქონება.

მშობელთა უნდა იზრუნონ თავიანთ შვილბის ფიზიკური განვითარებისათვის, საკვებ-სარჩოსთვის, განცრთნისათვის, სწავლა—აღზრდისათვის.

შვლნი ვალდებულ არიან, რომ ემორჩილებოდნენ თავიანთ მშობლებს: შეიყვარონ იგინი, პატივსა სცემდნენ მით და შეეწეოდნენ მათ გაჭირებაში.

ძმათა დაჩ დათა ერთმანეთი უნდა უყვარდეთ. ურთიერთისა მხარ-დამჭრნი, თანაშემწენი უნდა იყვნენ. თავის დროსვე, რომ შეინწვლიან ძმანი თავიანთ დათა პატივის ცემას, მაშინვე შეასწავლონ თუ რა ნაირი პატივი უნდა სცეს კაცმა დედაკაცსა, ვინაიდგან განათლებულ ქვეყნებშიოჯახობა დიდ ყორეაულია დედაკაცზედა. რა დღესაც მშობელნი გამოესალმებიან ამ წუთი სოფელს იმ დღიდგან პირმშო შვილმა უნდა იკისროს სახლის მართვა გამგეობა და მცირე წლოვანთა მოვლა და აღზრდა. ამისათვის არის, რომ სათრანგეთი თავის სჯულმდებელობაში ანიჭებს ვრცელ უფლებას პირმშო შვილს; იმისათვის არის კიდევ, რომ მამულ-დედული საშვილიშვილოდ არის კუთნილება ოჯახისა და ხელ-უხლებელათ რჩება მათ შთამომავლობაში.

ოჯახის ზნეობრივი მოქმედება. ამ დროში ყველაზე მავნე მტერი ოჯახობის გამოჩნდა ი. ი. რუსო. იმ კაცმა, რომელმაც თავისი თავი სცნო უძლურად შვილების აღზრდაში თავისი ოთხი შვილი უნადგურებს მის გულში. ალსასრული ცხოვრებისა არაა წესიერება და ვალდებულება სათნოებისადმი მისწრაფება, მხოლოდ მეთავისობა, ეგოიზმობა და განცხრომა ბუნებრივ მიდრეკილების დაკმაყოფილებითა. ამ სოფისტიკური პრინციპის წ ინააღმდეგ ლე-პლე დიდმა ეკონომმა მეცნიერებრივი მეთოდით გასპვრიტა სოციალური საზოგადო შემთხვევნი და თავისი გამოცდილებითა შექენილი ჭეშმარიტებანი და მოკლეთ წამოგვიყენა: „როგორც გაუნათლებელ მეძუძურეს, აგრეთვე ყოვლად გამოცდილ დედას ყოველ დღიური გამოცდილება უმტკიცებს, რომ მიდრეკილება ბოროტებისაკენ ძალიან უფლებს ახალგაზდა ყრმათა შორის. ილვიძებს თუ არა ყრმაში განსჯა და ნება, მაშინვე ბოროტი მიდრეკილება იჩენს თავს: პირველად ჯავრი, შური, ცბიერება, შემდეგში კი სიცრუე და ზარმაცობა ცხადლად ნათლად. ეს ძირითადი ნაკლოა კაცობრიობაში და ყრმა არ იქმნება გამოსადეგი ზნეობას გასწორების საქმეში, თუ მას აკვნიდგანვე სახლ-ოჯახობა არ აღმოფხვრავს მისა გულისაგან ამ ბოროტ მიდრეკილებას აღზრდითა და კეთილის მაგალითის ჩვენებითა..

მიიყვანა ნაპოვნ ყრმათ თავ-შესაფარში წამოაყენა შემდეგი სოფისტური წინადადება: პრინციპი, რომელის ძალით მე განვსაჯე ყოველი ჩემ მწერლობაში ის არის, რომ კაცი იშობების კეთილ და პირველი ინსტინქტური კაცისა გრძნობანი არის

ყოველთვის სწორე

აი ესრეთ ვითომ მთამომავლობითი სისრულით ყოფილიყოს კაცი თავითგანვე რომელმა რწმენამ, როგორც იმზოის გიზო 1789წ. ეს რწმენა იყო დედა ბოძი კაცობრივი ამპარტავნებისა, მიზეზი და წყარო ყველა ცრუ აჴრევ-დამრევი მოძღვრებისა, რომელიც შემდეგში გამოვიდა. ამ შეცდომილი პრინციპის ძალთა მამობრივი ავტორიტეტი, უფლება, ოჯახობრივი აღზრდა, სამოქალაქო განწყობილებანი სწავლა განათლებისათვის, სხვა არც ყოფილა რა თუ, არ გამოგონილი მძლავრთაგან, რომ შეავიწროვონ შეაბორკილონ უძლურნი; გამრყვნელი სენი, ვინაიდგან ყრმათა თავის უფალ გრძნობათა აბორკილებს და ატყვევებს და მერმე ჰსპობს და აი. ეს არის ზნეობრივ მოციქულება სახლ-ოჯახობას და ამას ზედ უმაღლესი სხვა არ არის რა

მშობელნი გაჩენის საქმეს განაგრძნობენ არა მარტო მიწიერი ცხოვრებისათვის, არამედ საუკუნო უკვდავებისათვის; ის სულნი, რომელნიც ცხოვრებისათვის მოწოდებულნი არიან უნდა მომზადებული იყვნენ უკვდავებისათვის თავ-ანთი მშობლების მიერ.

სოციალური მოციქულობაა სახლ-ოჯახის-თუ ეს ვალდებულება კეთილად აღსრულდა, მაშინ საზოგადოებას ეყოლება კარგი მომზადებული წევრნი; თუ ბოროტად არიან მომზადებულნი, მაშინ ცუდი მოღვაწენი, ეყოლება კაცობრიობას.

ამით ადვილად ვიგულისხმებთ, რომ ავქსონობა (უფლება) მშობლებისა არის ღვთის ბრძანება; ოჯახობის დაწესება არის უპირველესი დასესხ:თაგან და ვინც ცდილობს, რომ შეავიწროვოს მამობრივი უფლება, ან ოჯახობრივი აღზრდა, მიშინ ის პირი პირდაპირ რომ აღმოფხვრას და გაამარჯვოს კაცობრივი ჯიში და შთამომავლობა.

---

## აღდგომის გალობა.

ჵოი ძეო სიონისა,
მეფე ცათა დიდებისა,
აღსდგა მკვდრეთით განთიადსა.
დღესა მას ერთ შაბათსა
მოადგნენ კარსა საფლავსა,
გუნდნი მოწაფე დასისა.
და მარიამ მაგდალინა
იაკობისა სალომესთან
შეიდნენ გვამის საცხებლად.
სპეტაკ სამოსლით მოსილმა
ჰრქვა დედათა ანგელოზმა
გალილეას არს უფალი.
და იოანე ისწრაფიდა,
პეტრესა წინ რბიოდა
მის ადრე საფლავს მივიდა.
მარჩვიბმან რა გულის ხმა-ჰყო;
რომ იესო აღდგომილიყო
და მის გამო ეჭვსა იყო.
მოციქულნი რა ჰსხდნენ ერთად,
შორის მათსა ქრისტე დადგა;
ჰრქვა მშვიდობა თქვენ ყოველთა.
მოჰყავ თომა თითნი შენი,
და იხილე გვერდი ჩემი,
ნუ იქმნები ურწმუნელი.
ოდეს თომამ ქრისტე ნახა,-
ხელ გვერდსა თითნი შეახო.
ჰრქვა ჩემო ღმერთო შენა ხარ.
ნეტარ რომელნი არ ვეხილო,
და სიმტკიცით მან ირწმუნოს;
საუკუნოდ მან იცხოვროს.
ამ წმიდა დღესასწაულსა,
ვჰყოთ შვება და სიხარული,
ვაქოთ იესო აღდგომილი.

---

## პიოს მეათე პაპის წერილი

რომის მამამთავარმა ერთისმხრით და საფრანგეთის ერის წარმომადგენელმა მეორეს მხრით შეთანხმნენ და საქვეყნოდ შეჰკრეს პირობა, როგორც ურთიერთ შორის, აგრეთვე შემდეგისათვისაც, რომ მომავალში, სამუდამოთ, საშვილიშვილოთ და შეუგინებელათ დაეცვათ პირობა, რომელზედაც ხელი მოაწერეს. ამის რეზულტატით (დასკვნილებით) ადვილად იგულისხმებოდა რომ კონკორდატს (Concorda) ჰქონდა საფუძვლად წესნი და კანონნი, რომელნიც არიან საძირკველნი ყველა ინთერ-ნაციონალური (საყოველთაო ერთა) წეს-კანონისა, ესე იგი საქვეყნო საზოგადო უფლება (droit des ceus). არავითარი ძალ-მომრეობით ერთს მხარეს არა შეეძლო და არცა ჰქონდა ნება პირობის გაეუქმებინა, რადგან ორივე კერძოთ იყვნენ ვალდებულნი მტკიცედ დაეცვათ იგი. უწმინდესმა საყდარმა დიდის მოწიწებით და მორწმუნეობით დაიცვა ყოველივე თავისი პირობა, რომელზედაც ხელი მოაწერა და მუდამ ეამს სთხოვდა მთავრობას, რომ იმასაც თავის მხრით, გამოეჩინა სიმტკიცე თავის პირობის აღსრულებაში. აი ლიტონი სიმართლე, რომელსაც ყოველი მიუსყიდველი და

პატიოსანი მოსამართლე, ცხადათ და აშკარათ დაამტკიცებს. — დღეს კი მთავრობა სპობს; სპობს მხოლოდ თავისი ავტორიტეტითა, იმ საქვეყნო ხელშეკრულებასა, რომელზედაც მას ხელი მოწერილი აქვს; ამითი იგი არღვევს თავის ფიცს. მთავრობა, თავის ურთიერთობის ეკკლესიასთან, მოსასპობლად და დასაგმობლად აღარ ზოგავს ეკლესიას, უკან აღარ იხევს, არამედ სამოციქულო საყდარს აუპატიურებს და შეურაცხყოფს მას. ამით მთავრობამ შეარყია ძირითადი (სოციალური) საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესწყობილება. ურთიერთობაში მშვიდობიანობის და კეთილ დღეობის გასამტკიცებლად ერთა შორის საჭიროა, რომ მტკიცედ, სარწმუნოთ და შეუბღალველად დაიცვებოდეს ხელშეკრულებანი და პირობანი.

შეურაცხყოფა, მიყენებული სამოციქულო ეკლესიისადმი ცალმხრივ კონკორდატის (Concordat) გაუქმებით დიადი ხდება—მაშინ კი საოცარი, როდესაც გამოვიძიებთ თუ რა სახით, მთავრობამ შეასრულა ეს გაუქმება: იმ გვარი წესით, პრინციპი ადამიანთა უფლებაში არის მიღებული, რომელზედაც მსჯელობაც არ საჭიროებს და რომელსაც ყველა ერი ასრულებს. პირობის მოსპობის უწინარეს უნდა, ცხადათ და პირნათლად აცნობოს, შეატყობინოს მის მოკავშირეს, რომ მასთან მეგობრობა არა სურს და ამაზე უარის თქმაც უნდა დაასაბუთოს, მაგრამ მთავრობამ არა თუ აცნობა სამოციქულო ეკლესიას, არამედ არავითარი გამოცხადება და გაფთხილებაც კი არ მოახდინა ამის შესახებ. საფრანგეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით და ჩადენილი საქციელით დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ მისთვის თვით უმარტივესი და ყველასაგან მიღებული პატიოსნებაც არ ყოფილა ყურათ-საღებელი. იმ ეტიკეტებსაც ულალატა, რომლებსაც თვით არა თვალსაჩინო მთავრობაც კი ხმარობს ზრდილობისა და თავაზიანობისათვის.

საფრანგეთის რწმუნებულ პირთ, რომელნიც იყვნენ წარმომადგენელნი კათოლიკე ერისა და ნუნციისა, არ შერცხვათ დასე მოეპყრნენ მღვდელთ-მთავარსა უღრეს მეუფესა ეკკლესიისას, მაშინ როდესაც ჩვენ სულიერ მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ დაუმსახურებია საფრანგეთის გულის წყრომა. მთავრობანი დიდის კრძალვით და პატივით ასრულებენ ჩვენ სულიერ მთავრობის წადილს; საფრანგეთის კათოლიკე მთავრობაკი ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ შელახოს ჩვენი სულიერი მთავრობა და ეკკლესიური საზოგადოება, სები ყოველგან და ყველას წინაშე.

თუ რომ ამ კანონს თავის თავად ავწონ-დავწონავთ და გამოძიების მსჯელობას დაუქვემდებარებთ, რომლის ვალია დაიცვას კაცთა სულიერი ინტერესები, მაშინვე ვიპოვებთ საბუთს ჩვენი ამ გვარი წყრომისა და უკმაყოფილებისას. არ შეგვიძლია, რომ არ დავგმოთ და ზიზღი არ გამოუცხადოთ ამგვარ მიმართულებას, ვინაიდან მთავრობა თავისი განცალკევებითა ჰსპობს ყოველთა კავშირთა კონკორდატისას (Concordaz) და გადადის ეკლესიისაგან, რომელსაც არა თუ არავითარი თავისუფლება არ შეარჩინა, არამედ შეავიწროვა და შეჰბოჭა ეკლესია და არ მისცა თავისუფლება, რომ საზოგადოთ მშვიდობიანათ განეგრძო თვისი რელიგიოზური ურთიერთობა კაცთა შორის; ყველა ჭეშმარიტებასა და სიმართლეს მოაშორა თავისი კანონ-დებულება. ჩვენ ვითვალისწინებთ და საქვეყნოთ ვაღვიარებთ, რომ ეს კანონი არის საზიზღარი ბორკილი, რომლითაც ეკლესიას იმონავებს და სამოქალაქო მთავრობას უქვემდებარებს სულიერ და რელიგიოზნურ მართვა-გამგებლობას. ჩვენთვის დიდი სამწუხარო არის, რომ მთავრობა თავის სამარცხვინო მატრაკვეცობით ერევა ეკლესიურ, რელიგიოზურ წესწყობილებაში, რომელიც მას არ შეეხება. ვსალმობთ და ვსტირით მასზედ, რომ მთავრობამ დაჰგმო სიმართლე და ჭეშმარიტება; შეიყვანა საფრანგეთის ეკლესია აუტანელ მწარე მდგომარეობაში და ფეხ-ქვეშ დაჰქელა ყოველი უწმიდესი უფლებანი მორწმუნე ერისა და ეკლესიისა, აუტანელი სულისა და გულის შემხუთავი კანონების გამოცემით.

(გასაგრძობია)

---

**რას მოგვითხრობენ დასავლეთის ისტორიკოსნ[ი] წმიდა ნინოს და საქართველოს გაქრისტიანებ[ის] შესახებ.**

რომის მარტიროლოგია (წამებულთა ხსენე[ბა] წმიდათა ცხოვრებაა) მოგვითხრობს, რომ ხუთმე[ტ] დეკემბერს დღესასწავლობს ივერიის ეკკლესია, ერ[თი] წმიდა დედაკაცის დღესასწაულს; ამ დედაკაცის სახე[ლი] არ არის ცნობილი ბერძენთა ისტორიაში და არცა რომაელთა. მხოლოდ ხსენებულია, როგორ[ც] ყმად წაყვანილი იბერთა მიერ შეპყრობილი ტყვე[ე] კონსტანტინე დიდის იმპერატორობის დროს. იბერი[ის] ერის მხარენი ისაზღვრებიან: შავის ზღვის და[სა]ვლეთით, კავკასიონის მთებით ჩრდილოეთით, აღმ[ო]სავლეთით კასპიის ზღვით, სამხრეთით კი სასომხე[თი]თი ამ დედაკაცმა დაიმსახურა იბერთ პატივისცემა [...]

ყურადღება თავისი წმიდა ცხოვრებით. თვისი განწირული შრომით და მტკიცე მორწმუნე მსახურებით. შესრულებით თავისი ყველა ვალდებულებისა, თითქმის მთელ ღამეს ლოცვაში ათევდა. ამ დროს მისთანა გარეშე პირნი ხედავდნენ ამ ფერ სათნოან ცხოვრებას ეკითხებოდნენ თუ რისთვის ამას ასე ასრულებდა. მხოლოდ მისი პასუხი ეს იყო, რომ ამნაირად ემსახურებოდა ქრისტესა თვის ღმერთსა. ეს ქრისტეს სახელის გაგება მათთვის ახლად იყო რადგან ამ ფერ ცხოვრებას შეუცვლელად ადგა და შეურყეველი იყო ამ ყმა დედაკაცი მინდობილება იესო ქრისტეზედ. მაშინ ხალხი ბუნებრივად ცნობის მოყვრებაში მოვიდა და იკითხა რა სარგებლობას მოუტანდა ეს სარწმუნოება მას. ძველად დედაკაცებში ჩვეულებად იყო, რომ თუ მათ ბავშვი, ყმაწვილი ავათ გაუხდებოდათ მაშინათვე, დედა აიყვანდა ყრმასა და სახლიდან სახლში, იკითხავდა მის თვის შველასა და წამალს.

ერთმა დედაკაცმა აიყვანა თავისი შვილი კარი-კარს სახლიდან სახლს მიიყვანა წამალი კი ვერ იშოვა. ამ დროს მოვიდა ქრისტიანე ყმა ქალთან და შესთხოვა შველა წამალი.

მაგრამ მან უპასუხა, რომ არა ვითარის კაცობრივი წამლის სწავლება არ შეეძლო, გარნა იესოქრისტე ღმერთი, რომლსაც იგი თაყვანსა სცემდა, მიანჭებდა ჯანის სიმრთელეს რაც გინდ რომ მძიმე სენით ყოფილიყო კაცი შეპყრობილი. ყმა დედაკაცმა (ნინამ) აიყვანა ყრმა ხელში მიაწვინა თავისსარეცელზედ მცირე ლოცვის შემდეგ, დაუბრუნა მთლად განკურნული შვილი თვის დედას. ამ სასწაულის ამბავი მალე მოეფინა ხალხში და მოახწია დედოფლის ყურებამდის, რომელიც იმ დროს სნეულობით იტანჯებოდა და გადარჩენის იმედი არ საიდგან იყო.

დედოფალმა უბრძანა, რომ ყმა დედაკაცი მასთან მოეყვანათ, მაგრამ ყრმა დედაკაცმა ბოდიში მოითხოვა და ულირსად ჩათვალა თავის თავი დედოფლის წინაშე გამოჩენისათვის. ამ დროს დედოფალმა დახედა რა, რომ ვერა საშვალით ვერ შეიძლო ყრმა დედაკაცის (ნინას) თვისთან მიყვანა, მაშინ გადასწყვიტა, რომ თვითონ დედოფალი მასთან მისულიყო. რამდენიმე მოახლით ერთად, რომელნიც თვის საკაცით ავათმყოფის ლოგინში იწვა; მწოლიარე მუნ მიიყვანეს. ყმა დედაკაცმა მიაწვინა დედოფალი თვის სარეცელზედ მოუწოდა სახელი იესო ქრისტესი, როგორც წინედ ყრმაზედ და დედოფალი გაიკურნა, მაშინათვე სასწაულით მომქმედმა ქალმა ჩააგონა დედოფალს, რომ ღმერთი და ძე ღმერთისა იყო იესო ქრისტე, რომლის სახელის მოწოდებით იგი გაჰკურნა და ურჩია, რომ მრავალჯერ მისი სახელი მოეწოდა და ემსახურნა. მისთვის, რომელიც ხელემწიფეთა აუფლებს და კაცთა ანიჭებს ცხოვრებას.

მეფე დიდი ნასიამოვნები დარჩა ამ ამბის გაგებით და დაეშურა, რომ ენახა თავისი მეუღლე დედოფალი მთლად და უცბად გაკურნებული ყოველა სენისაგან. შეიტყო რა მეფე თუ რანაირ მომხდარიყო დედოფლის განკურნა მაშინვე. უბძანა საჩუქრები მოერთმიათ ყმა დედაკაცისათვის. მაშინ დიდოფალმა უთხრა მეფეს, რომ ყრმა დედაკაცი ამ საჩუქრებს შეურაცჰყოფად მიიღებს და მას არ სურს არც ვერცხლი და არც ოქრო. მარხულობა იყო მისი სასმელ საჭმელი. მხოლოდ მისი სასყიდელი ის იყო, რომ ყრმა დედაკაცს სურდა და ნატრობდა იესო ქრისტე ღმერთი, რომელიც მან მიუწოდა მის გასაკურნებლად ყოფილიყო ყველასაყან თაყვან-ცემული, როგორც მეფეთაგან ეგრეთვე ერისაგან; მაგრამ მეფემ გადასტოვა თავისი მოქცევა სხვა დროისათვის, თუმც დედოფალი მას გულითად ევედრებოდა, რომ მალე და დროით ეცნო ყრმა დედაკაცის ღმერთი და მისთვის თაყვანი ეცა.

მაგრამ როდესაც მეფე ტყეში ნადირობდა მაშინათვე დღისით მზისით თვალთ დაუბნელდა. მის თანა მხლებელნი შემოეფანტნენ და მეფემ არ იცოდა საით გაეგნო გზა.

ამ დროს მოაგონდა ქრისტე, რომელსაც ყრმა დედაკაცი იხსენიებდა და დედოფლისათვის ელაპარაკნა, გარდასწყვიტა, რომ თუ მას თვალები აეხილებოდა მაშინვე იწამებდა ღმერთსა და თავს დაანებებდა სხვა ღმერთებს. მაშინათვე გაუნათლდ თვალნი და ბედნიერად სასახლეში დაბრუნდა. ეს შემთხვევა მოუთხრა დედოფალს და მაშინათვე მოაყვანინა ყმა დედაკაცი რომელსაც გამოუცხადა, რომ დღეის იქით მეფეს აღარ სურდა ემსახურა სხვა ღმერთებისათვის თუ არ მხოლოდ იესო· ქრისტესათვის. მეფემ სთხოვა, რომ მისთვის ესწავლებინა თუ როგორ უნდა ემსახურნა ჭეშმარიტი ღმერთისათვის ყმა დედაკაცმა რაც კი შეიძლო გასწურთნა მეფე უმთავრეს საიდუმლოებში.

ქრისტიანული სარწმუნოებისა (ნინამ) ყრმა დედაკაცმა ჩააგონა მეფეს, რომ აეგო ერთი ტაძარი რომლის გეგმაც მისცა თვითონ. მეფემ მაშინათვე შეაგროვა თვისი ხელ-ქვეითთები უამბო ყოველი რაც მას შეემთხვა და დაუმატა, რომ ქრისტიანეთა ღმერთს

მისთვის ეშველა, გასწურთნა, დაარიგა იგინი ქრისტიანულ სარწმუნოებაში. დედოფალმაც თავის მხრით გასწურთნა სახლის დედაკაცნი არწმუნა მათ და ამგვრით ჩაიყარა საძირკველი ეკკლესიისა, რომლის აგებისათვის ყველამ მონაწილეობა მიიღო. კედლები კიდეც აეგოთ მხოლოდ ბოძები და დარჩენილიყო ასამართავი. პირველი და მეორე ბოძი ადვილად იქმნა ამაღლებული, მაგრამ მესამე ბოძის ამაღლება კი ძალზე გაუჭირდათ; ყოველი ხერხი, ღონე შეალიეს და ძირიდან ვერ დასძრეს. მთელი დღე ამის ამაღლების ცდა, წვალებას მოუნდნენ, მაგრამ ამაოდ ჩაიარით მათმა შრომამ. ყმა დედაკაცი დაშთა მხოლოდ ამ ახალ შენობაში და მთელ ღამეს ლოცულობდა. მეფე დარდიანი ნაღვლიანი დილით ადრე მოვიდა ტაძრის შენობასთან დაინახა ბოძი ამართული სწორეთ დამდგარი მხოლოდ კი ერთი წყრათა მიწას დაშორებული ჰაერში დამოკიდებული იყო; ამის ნახვით ხალხი გაკვირვებული იყო და აქებდა და ადიდებდა ღმერთსა, რომ სარწმუნოება ყრმა დედაკაცსა მხოლოდ არს ჭეშმარიტი. მღვდელი რუფინი ამტკიცებს რომ მან ორმოცდა ათი წლის წინეთ ეს გაიგო თვით ერთი წარჩინებული იბერიელის პირისაგან, რომელიც თანა დამსწრე ყოფილა ამ რიგისგარეთი შემთხვევისა, რომ ბოძი თავის თავად დამდგარა თვის საძირკველზედ დანარჩენნი სხვანიც სიადვილით აუმართავთ.

ეკკლესია რაააშენეს ერმა სულით და გულით მოინდომა, რომ განმტკიცებულიყო იმ სარწმუნოებაში, რა სარწმუნოებაც მან ახლა მიიღო. ამისთვის

მეფემ ამ ყრმა დედაკაცის რჩევით შეაგროვა თვისი ერი კრება ქმნეს და, გარდასწყვიტეს, რომ ერთი თავიანთი წარმომადგენელი გაეგზავნათ რომ. ლასაყდრით იმპერატორისადმი მლი მთელი ერის და თემის სახელით სთხოვდნენ კონსტანტინე დიდს მათვის ეზრუნასთხოვეს და აუხსნეს ყოვე ლი თუ როგორ მოხდა საქმე. მოითხოვეს ერთი ეპისკოპოსი და მღვდელნი რომ, შეესრულებინათ ღვთიური დაწყებული საქმე. კონსტანტინემ დააკმაყოფილა მათი თხოვნა და გაუგზავნა ყოველი რაც საჭირო იყო ახალი სამოციქულო საქმისთვის, რომლის მოქცევის ღირსება უდიდესი იყო, ვიდრეთ ღვთით ყოველ მტერზედ გამარჯვებანი. თუმც სხვა რაიმე არ არის მასზედ ცნობილი, მაგრამ ეკკლესიამ მისი უცნობი სახელი უკდავ ჰყო და დაარქვა წმინდა ქრისტიანეთ, რომელსაც დღესასწაულობს და ადიდებს.

Perolt Percastel - ეკკლეს.ისტორ.



წმიდა ნინა ხელთ უპყრია ჯვარი ვაზისა.



წმიდა ნინას მცხეთის ტაძრის სვეტის ამართ

## უწმინდესის მეუფისა ჩვენისა მამათა პიო პაპისა

უუწმიდესმა მეუფემა ჩვენმა პიო X გამოსცა სამოციქულო წერილი, რომელშიაც აღწერს დიდს და აუცილებელ საჭიროებას მის შესახებ, თუ რა დიდის ყურადღებით და გულ დადებით უნდა ისწავლონ და ასწავლონ საღმთო წერილი ახალი სწავლაგანათლების სისტემით; საჭიროება ამგვარ სწავლისა ამ დროში უმეტესად მიუცილებელი ხდება სამღვდელო პირთათვის და აგრეთვე ჭეშმარიტ მეცნიერთათვის.

ეს სამოციქულო წერილი 18 შემდეგ მუხლს შეიცავს:

I. სემენარიებში და აკადემიებში ღრმად შეიგნონ შესავალნი ზესთა ბუნებრივი შინაქროლვათა პრინციპებისა, დაბადების კანონი ორიგინალური. თარგმნების გაცნობა, კანონი გერმენტიკული, ისტორია ორივე აღთქმისა და შემდეგში თვითეული წიგნის ანალიზი (განხილვა) და მისი ეგზეგეტიკა.

II. განაწილება საღმთი წერილის სწავლების საგანი; თვითოეულ წელს არ უნდა ისწავლებოდეს სემენარიებში და აკადემიებში, რომ ამ დანაწილებით მოსწავლეთ კარგა შეგნებული ჰქონდესთ წლის ბოლოს საგანი მთელი წლის სწავლისა.

III. სემენარიებში ისე უნდა შეიგნონ საღმთო წერილი, რომ მისი მაღალ ღირსება მუდამ დაცული იყოს, რომ არა მღვდელს არ მიეტევება საღმთო წერილის უცოდინარობა. მღვდელი მუდამ უნდა მზად იყოს პასუხი აგოს თვის მოკამათეს.

VI. თუმცაკე რძოთ სემენარიაში და აკადემიაში შეუძლებელია, რომ ყველა თვითეული საღმთო წერილის წიგნი განიხილებოდეს, მაგრამ არა ნაკლები საჭიროება არის, რომ მაინც უმთავრესი საღმთო წერილების წიგნები გაიცნოს, შეიგნოს, შეისისხლხორცოს მათი შინაარსნი, მათი ისტორიული ღირსების მხარე, რომ თუ საჭიროება მოითხოვს მას შეეძლოს მიაზედ ბაასი, და ანალიტიკურის განხილვით გადაცემა თვის მოკამათესადმი.

V. ახალი გამოკვლევის და აღმოჩინების საშვალებით თუ ძველი აღთქმის შეგნებით, შესწავლით დიდს ნაყოფს გამოიღებს მოსწავლე, როდესაც დაუკვირდება, რომ ებრაელი ერი და სხვა აღმოსავლეთის ერები შეურიგებელნი იყვნენ თუ მოსეს კანონს მთლად დაუკვირდებიან წინსწარმეტყველები მისნი მათ ვრცელად აუხსნიან.

VI. მასწავლემა უნდა იზრუნოს, რომ მოსწავლეთა შეაგნებინოს დავითნის ფსალმუნები, რომელთაც მუდამ დღე საღმთო წესის ასრულების დროს ხმარობს; მათ მოსწავლეთა ადვილად გადაუთარგმნონ და ასწავლონ.

VII რაც შეეხება ახალ აღთქმას, სემენარიელმა და კადემიელმა, ერთი სიტყვით მართალ მეცნიერმა შეისწავლოს ნათლად გულ მოდგინებით ოთხი სახარება. მათი თვითეული ოტანტიკური ასისემობის ისტორიის შენიშვნანი; მასწავლებელმა უნდა განუმარტოს და ნათლად გამოუთარგმნოს სახარებრივი ისტორია და სწავლა—მოძღვრება, რომელნიც შეცმულია სამოციქულო წერილთა შორის ახალი აღთქმისა.

VIII. მასწავლებელთა. სემენარიებში და აკადემიებში თავიანთი მოსწავლეთ მიუთითონ თვითვეულად ის შესანიშნავი ადგილები რომელნიც შეეხება ქრისტიანულს სარწმუნოებას და ზნეობას

IX. მასწავლებელთა მოიგონონ და დააკვირდნენ, რომ ახალ აღთქმაში რაც მოძღვრობაა და რასაც თვითონ გადასცემენ თავიან მოსწავლეებს, ის მოძღვრება იყოს თავიანთი საქმეში განხორციელებულნი და შეუდგენენ ცოცხალ მაგალითსა იესო ქრისტესასა და მოციქულთა..

X. მოსწავლენი აღჭურვილნი ნიჭითა და მეცადინეობითა დაეწაფებოდნენ ებრაულის, ბერძნულის და სხვა როგორც მაგ. სირიულის, არაბულის ენების შესწავლას.

„ვინაიდგან წმიდა საღმრთო წერილთა და სასღვთისმეტყველო მასწავლებელთათვის საჭიროა იცოდნენ რომელიმე სხვა ენანი, რომლებში კანონიკური საღმრთო წიგნნი დაიწერნენ, აგრეთვე დიდი სასარგებლო იქმნება, რომ მოსწავლეთაც, რომელნიც ემზადებიან აკადემიის საღმთისვეტყველო ხარისხის მიღებას, ისწავლონ, შეიგნონ და გაიცნონ ძველი სემიტიკური ენები, იყვნენ მაგისტრები.“

XI. მასწავლებელნი, რომელნიც სემენარიებში ასწავლიან და აკადემიის საღვთისმეტყველო ხარის მქონენი არიან უნდათ ცდილობდნენ განავრცელონ ვიანთი სწავლა, და დაუმატონ ლექციები შესახებ საღმრთო წერილის ახსნისა, უმეტესად განუმარტონ და ახსნან ყოველა თვითეული სპეციალური დაკითხვანი, როგორც ასის დაბადების, არხეოლოგა, გეოგრაფია, ხრონიკა, სღვთისმეტყველო კითხვანი, ისტორიულნი ფაქტნი დაბადებისა მთელი ახალი სწავლა მეცნიერობის სისტემით.

XII. სემენარიის საღმთო წერილის მასწავლე-

ბელთ უნდა ჰქონდესთ უთუოდ აკადემიკური სწავლა და ხარისხი.

**XIII.** მასწავლებელმან, რომელსაც აქვს საღმრთო წერილის დოქტორის ხარისხი უნდა მიიჩნიოს წმინდათ და შეულახავ კანონად, რომ თვისი მოძღვრება არ უნდა დაშოროს ეკლესიისა გარდმოცემას და ვედრებას. მართალია, ჭეშმარიტ მეცნიერება ყოველთვის სასარგებლოა და დიდათ დაგვაინტერესებს, და შეგვიძლია ჩვენც გამოვიყენოთ ჩვენ სასარგებლოთ, მაგრამ სახიფათოთ უნდა ჩაითვლოს ახალითაობათა ახსნა—განმარტოვება.
ყვალად იგივე კითხვები აიღოს ხელში, შეიგნოს და გამოიყენოს დასაცველად, დასაკრძალვად საღმთო წერილსა. ამის ასასრულებლად მასწაკლებელმა უნდა იხელმძღვანელოს სიბრძნით სავსე ინციკლიკა (**providentissimus**) (უწმიდესი წინა მხედველობა.)
**XIV.** მოსწავლენი, რომელნიც ამ საშვალებათა მოკლებულნი არიან, მაშინ თავიანთი პიროვნული შრომით და მეცადინეობით გავარჯიშდნენ საღმრთო წერილის სწავლაში, რადგან მასწავლებელს არ შეუძლიან დროების უქონლობის გამო, ყველა კითხვები განმარტოს, ყველა ახსნას; ამისათვის საჭიროა ყოველ დღე თვითვეულმა მოსწავლემ წაიკითხოს ძველი და ახალი აღთქმა მაუათვის იქონიოს მოკლე მათი ახსნა და განმარტოება, რომ ყოველ შემთხვევაში მით ისარგებლოს ყრუ და ძნელი ადგილების ასახსნელათ.—

**XV.** მოსწავლენი უნდა იყვნენ გავარჯისებულნი, როგორც ღვთის მეტყველებაში, აგრეთვე საღმრთო წერილშიც, რომ ადვილად გადავიდნენ ერთი კლასიდგან მეორეში და მით შევიდნენ წმიდა აღსავლებში. —

**XVI.** ყველა საკადემიო აღსავლების ხარისხის მიმღებმა უნდა იცოდეს დაკითხვანი რაც შეეხება ისტორიას, კრიტიკას, ეკსეგეტიკას, და გამოცდით უნდა დაამტკიცოს, რომ მან იცის ებრაული და ბერძნული ენა საღმრთო წერილის შესაგნებლად.

**XVII.** ფრიად სასარგებლო იქნება, რომ უროს ყველას, რომ ჩასვდნენ ახსნა ძველი და ახალი აღთქმა; საჭიროა დაეცნენ იმ ადგილებს და სადაც იესო ქრისტე და მოციქულები ცხოვრობდნენ იცოდნენ რომ ამით მალე შეიგნონ საღმრთო წერილის თემათა მხარე ზნე და ჩვეულება.

**XVII.** ამ სწავლა განათლებისათვის ყველა სემინარიებში უნდა იყოს დაარსებული ამ საგნისათვის საკუთარი ბიბლიოთეკები, სიდგანაც ისარგებლებენ მასწავლებელნი და მოსწავლენი. ამას ვისურვებთ და უბრძანებთ სისრულეში მოყვანას.—

ებოძა რომის ქალაქს მესამთხევლის ბეჭდით, მარტის 27 ს. 1906 წ. მესამე ჩვენი მამა მთავრობის

# ახალი ამბავი

**დაზარალებულთა კომიტეტი.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა ნება დართო კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისას შეადგინოს კომიტეტი საქართველოში დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის მოსაგროვებლად და მათთვის შემწეობის აღმოსაჩენად.
ამგვარად, ეს საქმე, როგორც იქმნა, ლეგალურს კალაპოტში ჩადგა და, იმედია, ამიერიდან გაცხოველდება. „დაზარალება“ განუზომელია, გაჭირვება უდიდესი, და დიდი მხნეობა გვმართებს ყველას, რომ ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ ხალხს დღევანდელი ტანჯვა-ვაება.

**გენერალ-გუბერნატორის ბრძანება.** ოფიციალურ გაზეთ „კავკ.“-ში დაბეჭდილია ტფ. დრ-გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის შემდეგი ბრძანება: „მე შევნიშნე, რომ სამხედრო წესების გაუქმებამდე ჩემის განკარგულებით შეჩერებული ჟურნალ-გაზეთები ისევ ხელახლა იბადებიან სხვა სახელწოდებითა და სხვა რედაქტორის ხელმოწერითაც, რომელიც ჩემის განკარგულებით შეჩერებულ იქმნა. ეს ისე აშკარადა ჰხდება, რომ პირველსავე ახალ დაბადებულ გაზეთის ნომერში ჩვეულებრივ აცხადებენ,—ამა და ამ გაზეთის რედაქცია შეუთანხმდა ამა და ამ გაზეთის რედაქციას და შეჩერებულ ორგანოს მაგივრად ამიერიდან ხელის მომწერთ ეს ახალი გაზეთი დაეგზავნებათ. რადგანაც ახალ გაზეთების ამ გვარ აღორძინებაში მე აშკარადა ვხედავ ჩემ განკარგულებათა გვერდის აქცევას, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ამიერიდან, თუ წინამოადგილე გაზეთის მაგივრად ახალი გაზეთი გამოვა და ისეთის კილოთი და მიმართულებით დაიწყებს წერას, როგორც სწერდნენ წინანდელ გაზეთში, რომელიც სწორედ ამნაირ წერილების ბეჭდვისა და მიმართულებისათვის შევაჩერე, მაშინ მე იძულებული ვიქნები, თანახმად ჩემდა მონიჭებულ უფლებისა, ამნაირ სათადარიგო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსა და გამომცემლებს აეუკრძალო ცხოვრება ისეთს ადგილებში, სადაც სამხედრო წესები გამოცხადებულია, და გადავასახლო რუსეთის შიდა გუბერნიებში.“

**თაყაიშვილის მოხსენება.** 8 აპრილს საარქეოლოგიო საზოგადოებაში ბ-მა ე. თაყაიშვილმა წაიკითხა მოხსენება ყარსის ოლქში მოგზაურობის შესახებ. ხლანდელ ჩილდირისა და არდაგანის ნაწილებს საქართველოს ისტორია იცნობს ზემო ქართლად, ან სამცხე საათაბეგოს ერთ ნაწილად. ორი-სამი საუკუნეა, რაც ოსმალეთმა საქართველოს ეს კუთხე მოჰგლიჯა, მაგრამ ქართველობის კვალი ჯერაც არ წაშლილა იქ. ბ-ნ ე. თაყაიშვილის სიტყვით, გამაჰმადიანებულ ქართველებს ბევრგან სოფლებში ქართული ენაც არ დაჰვიწყებიათ. რაც შეეხება გარეგან ცხოვრებას, სახეს და ჩვეულებებს, იგინი თითქმის არასფრით არ განსხვავდებიან ჩვენის ხალხის ცხოვრებისაგან. ბ-ნს თაყაიშვილს მოუვლია და დაწვრილებით შეუსწავლია შესანიშნავი ადგილები. არქიტექტორის ბ-ნ კლდიაშვილის დახმარებით გეგმები და ფოტოგრაფიული სურათებიც გადაუღია.

**ლექცია ავტონომიაზე.** შაბათს, 9 აპრილს იურიდიულ საზოგადოებაში ტფილისელ კონ.-დემოკრატების სახელით თავ. გ. თუმანოვმა წაიკითხა ლექცია კავკასიის ერთა ავტონომიაზე. თავ. თუმანოვმა დამსწრეთ გააცნო სამი ტიპი ავტონომიურ თვითმმართველობისა: 1. საზოგადო სოლქო ავტონომია; 2. ტერიტორიალური ავტონომია იქონიონ, და 3. ნაციონალური ავტონომმაში, იმი ერებს, რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ მაგ. ქართველებს შეუძლიანთ ტერიტორიალური ავტონომიაში ხოლო სომხებისათვის, რომელნიც სხვის ტერიტორიებზე არიან გაფანტულნი, ტერიტორიალური ავტონომია არ არის ხელსაყრელი. მათთვის საუმჯობესო იქნება და საჭიროც არის ნაციონალური ავტონომია. ასეთი ავტონომია ყოველ სომეხს, სადაც უნდა სცხოვრობდეს იგი და რაც უნდა მოშორებული იყოს ცენტრს, შეაკავშირებს და სხვ. ლექტორს გამოეკამათნენ ოპენენტები. სხვათა შორის „კავკაზის" რედაქტორი პ. ა. ოპოჩინინი ვრცელს სიტყვაში ამტკიცებდა, რომ ნაციონალური ავტონომია ყოვლად მოუხერხებელიაო. კრება არ დამთავრებულა და ამ დღეებში გაგრძელება იქნება.

---

## რომი და ქრისტიანობა საქართველოში

ხევლპის თავს ციხის ჯვარი, ჯავახეთს სირგვის ჯვარი, რომ ახლა სირგვს უძახიან, ურაველის ტყისპირს გზის ჯვარი. ქვაბლიანში ქვაბის ჯვარი ფიცხევში კოხის ჯვარი. შავშეთში ხევის ჯვარი და ასრე სხვაგანაც მრავალი ამისთანა სახელი ჯვრებია. ასრევე სოფელაც არის ღრელს იქით ანდრია წმიდა. ახალ დაქრისტიანებულ მესხებს ქრისტიანობასთან დიდ სიხარულოდ ის დაურჩათ, რომ უთხრა ანდრია მოციქულმან: „ივერია ღვთის მშობლის წილხდომილი ქვეყანა არის, თავის მოსაყ მორწმუნეთა მუდამ მცველ მფარველი იქნებაო! ასრე ასრულდა წინასწარმეტყველება ესიასი: და გნვაელინე მა, თგან ცხონებულნი წარმართთა მიმართ თარშიდ და ფუდად და ლუდად და მოსოხად და თობელად და ევილადად მიმართ... და მათგანაცა აივიყვანე ჩემდა მღვდელნი და ლევიტელნი, თქვა უფალმან" ე. 19. მოსახები მესხეთი, თობელი ქართველები რომ ადრე სინობათგან დაწყობილი ტრაპიზონამდის იყვნენ. ევილადი, ართინის მხარს ლაზბენები. საიმერეთოითა!

პირველში ქვაბები ჰქნიათ ეკლესიებად, როგორც დავრწმუნდი ჩემი მოგზაურობის დროს ხეობაში, აწყვრისკენ ზიკილიას, ნიგჯორის ქვაბებს, დადეშის ქვაბებს, გელსუისნდ ქვაბებს, ჰოლტის ქვაბებს, თმოგვის ქვაბებს, ვანის ქვაბებს ვარძისა ვით, სადაც შევიძელ მისვლა, რაიქვია სხვაგანაც ასრეიქნება, ხომ სამესხეთო მთლად სავსეა ყოველგან ქვაბ გვირაბებით, ვიდრე ხიზაბავრაც არ დარჩენილა უნაწილოდ!

პეტრე მოციქულის მოწაფე კლემენტ დაჯდა მეIV პაპად რომში 93 წ. ამან მოციქულებრივი მოძღვრებით მრავალი წარმართნი მოაქცია ქრისტიანედ, რისთვისაც დაატყვევეს წარმართთა, დაუწყეს ტანჯვა, რა ვერ მოუგიდნემ თავს რომ იკურნებდა ღვთისაგან სასწაულით, განაძიეს ყირიმის ქერსონში, სადაც მრავალი განძიებული ქრისტიანენი დახვდა სარწმუნოებისათვის, რომ კლდებს ხვრეტდნენ ეკლესიებად და სახლს სადგომებად იკეთებდნენ, ამათგანი მრავალნი მოქადაგედ დაადგინა მთელი ყირიმის ცხოვრება არა მარტო დაქრისტიანა, ისივე ჩვენი შავის ზღვის პირის მხარენიც გაანათლა და 60—80 ეკკლესიანი აღაშენა ანდრია მოციქულისგან გაქრიტიანებულთა, ამისთვის დაიჭირეს წარმართებმან, მოაბეს კისერზედ ხომალდის ღუზა და ზღვაში ჩააგდეს 102 წ. სადაც ზღვა წლისა და წლის თავს უკან იწევდა და ადგილ მშრალად რჩებოდა სასწაულითა ვიდრე 868 წ. I. ნიკოლა პაპის დროს მოიპოვა წმიდა კირილე სლავინების მისიონერმან განბანა და მოასვენებინა რომში და დასაფლავდა წინათვე აშენებულ გ.ნგებ თავის სახელობის ეკლესიაში!

ხი რა უთხრა ანტოქისი პატრიარქს ჩვენმა წმ.

გიორგი მთაწმინდელმან, როცა ჰკითხა ქართველებს ქრისტიანობისა: „რა ერთ გზის გვიცნობიეს ქრისტეს სარწმუნოება, აღარ მიედრეკილვართ მარცხულ, გინა მარჯულ;“ სამათ. 474. გ. ვითამც რა გავქრისტიანებულვართ წმ. ანდრია მოციქულისგან შეერთებულნი ერთს წმ. კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასთან დარჩენილ ვართ მტკიცედ მასთან, არც ერთ მწვალებელთ არ გავყოლივართ, არც მარჯნივ და არც მარცხნივ. ამიტომ რომ თავიდანვე მცირე აზიის მკვდრად დარჩენილიყო კათოლიკე სარწმუნოება, კაპადუკიაში მრავალი ქართველები, ლაზები და სხ. იყვნენ; ხომ ჩვენი მესხების მთები საღანლუღის მთებით დაწყებული კაპადუკიამდის მოდიოდა საზღერებით, რაც ხანი გადიოდა იქაურობა უფრო ნათლდებოდა, დიდი მეცნიერი ორიგინე რომიქ გამოიდევნა წმიდა გრიგოლ საკვირველ მოქმედმან ორიგინესგან მიიღო სწავლა, მისმა ძმამ ათენაგორამ, ეს გრიგოლი ძალად ეპისკოპოსად აკურთხა ნეოკესიისა, ამასიის ფედიმოს ეპისკოპოსმან, რომელიც პონტის მიტროპოლიტი იყო; ორიგინეს მოწაფე იყო წმ. დიონესიო, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, მისივე მოწაფე ყოფილა კიდევ ფირმილიანო ეპისკოპოსი კაპადუკიის კესარიისა და სხვანიცა რითაც ქრისტიანთ დიდ სასიქადულოთ წინ წავიდა ქვეყანა ქრისტიანულ წმ. ცხოვრებაში. ამათი მოადგილე იქმნენ კაპადუკიაში კესარიის წმ. ლეონიდე მამამთავარი, წმ. ბასილი ჩვენი, მისი ძმები, წმ. პეტრე, წმ. გრიგოლი ნივსელი. ეს სამნი ქართველნი წმიდანი არიან. წმ. ბასილის ციხე-დარბაზი ჯერაც ისევ არს ჩვენს მესხეთში. ასრე წმ. გრიგოლ ნაზიანზელი და სხვანიც. კაპადუკელნივე იყვნენ. წმ. გიორგი 303 წ. და მისი მონათესავე წმ. ნინო ქალწული მსგენიც ქართველთ მოდგმისანი იყვნენ. წმ. ნინომ ქართლ-კახეთიც მოაქცია და წმ. გიორგიმ წლის დღის სათვალავზედ მეტი თავის სახელისა, ეკლესიები გაგვიმრავლა მარტო ჩვენ საქართველოს. სხვაგან კიდევ მრავალი.

რაც შეეხება სომხების და ქართველების გაქრისტიანებას, ერთის შეხედულებით თითქო კავშირი ჰქონდესთ ურთიერთთან, მაგრამ სიეჭვო გახდება საქმეთ: ამიტომ რომ ერთნი ეკავშირებიან კესარიის მიტროპოლიტს წმ. ლეონიდე მამამთავარს და იქიდან სათავეებ თავიანთ ეკლესიისა და მეორენი კი კონსტანტინე კეისარს სახოვენ სასულიერო პირთ თავიანთ დასაქრისტიანებლად, როცა ის რომში იყო, ჯერ ისევ მოუნათლავი, ის თავისთავად ხომ ვერ მოახდენდა განკარგულებასა, უთუოდ აცნობებდა წმ. სილიბისტრე რომის პაპსა და ის აუსრულებდა ჯეროვანად სათხოვართა, ამას ეჭვი არა აქვს. ასეც სჩანს ჩვენს ქართლის ცხოვრებაშიც! თუ მივხედოთ აგათანგელოს გაწობილს ისტორიას რიფსიმიან ქალწულების შესახებ, არ უნდა იყოს დაწერილი იმ დროს ის, სხვა დროს დაწერილა. საგნის მიხედვით სჩანს უსაბუთო, არა მარტო სამოქალაქო პირობებითა, ისევე საეკლესიო სიძველისაცა, ახლა ბევრგან სიტყვის გაზვიადება, მერე დიდი სურვილი ეტყობა, რომ წამკითხველთ თუ მომსენთ საკვირველ საოცრებად წარუდგინოს დანიელ წინასწარმეტყველის მოთხრობასავით, რიფსიმეს შებრძოლება ტართადთან მისი ნების არ ასასრულებლად გაღება კარისა და გაქცევა ისე, როგორც ებრაელი სუსანა გაუსხლტა ხელიდგან ავხორც მოსამართლე მოხუცებულთა, ტირთადის ეშვად ქცევა და ტყის პირუტყვებში გარევა ბაბილონის ნაბუქოდონოსორ მეფისავით. გრიგოლის სასიკვდილო კაცების ხაროში ჩაგდება. 14. წელს და ანგელოზის შეგონებით მიჩენა ერთის დედაკაცისა ყოველ დღივ პურწყალის საზიდლად, ისე როგორც ამბაკუმმან მიუტანა მუშის სამხარი დანიელს ლომებისსა შწყვდევ გვირაბში და გადაარჩინა მშიერ ლომების ბრჭყალსა და; გამოიყვანა გამარჯვებული. ასე კრიტიკას სწერენ ევროპიელნი, მით ნინო და მანა ქალწულიც ვითამ ამ რიფსიმიანთ ქალწულებისა წყებისაგანი ყოფილ-ყვენენ, მართლა არა მარტო რიფსიმიანთ ქალწულების მოთხრობა დამახინჯებულია ასრე, ისევე ნინოს მოთხრობაც დაღ დასმულია სომხების მწერლობისაგან ალაგ ალაგ, მაგლითად აჩენენ იერუსალიმში დეინელ სომეხს რჯულის მეცნიერს და ამსახურებენ მას ნინოს ორ წელს, რომელიც ასწავლის ყოველ არხიოლოგიურ საეკკლესიო ისტორიას ქრისტეს კვართსა ზედა. მცხეთის მისასვლელ გზა კვალს და სხ. ქართ. ცხ. 67. გ. ასე ბევრგან დამახინჯებულია ჩვენი ქართლის ისტორია. დიდი თეოდო კეისრის დროს ბაკური თავადი ემსახურებოდა თავისი ლაშქრით საბერძნეთში, ამ ბაკურს ასე უამბია მოკლედ მოქცევა ქართველთა რუფინისათვის, ქრისტიანედ, ერთი მეტად ღვთის მსახური ქრისტიანი მხევალი დედაკაცი გაჩნდა სამეფო ქალაქში (მცხეთას) ქართველთა, რომელიც თავის უმანკოდ მარხველი წმინდა ცხოვრებით აკვირვებდა მრავალთა, განკურნ. მან მეფის ძე და დედოფალიც სრულიად, მისთვის უნდოდა გაქრისტიანება და აგულიანებდა მეფესაც

ცამაზედ, მაგრამ მეფე აგვიანებდა მოქცევასა, ერთ დღეს მოუხდა სანადიროდ წასვლა ტყეში, ჩამოუბნელდა ნისლ ბურუსი და გადარჩა მხოლოდ ქრისტიანთ ღმერთის ხსენებითა, იმერიდგან მეფემან დედოფლითურთ დაიყოლიეს ერობა რა ქრისტიანობაზედა, „იმ დედაკაცის რჩევითა აშენდა ეკლესია, სადაც ერთი სვეტის აწევა და დადგინება, ხარისხზედა ვერა გზით ვერ შეიძლეს, იმ დედაკაცის ლოცვით თავის თავად აიმართა ის სვეტი ამით გაუგზავნეს მოციქული კონსტანდინე კეისარსა სთხოვეს მღვდელნი და ეგრეთ მოხდა გაქრისტიანება მათი." ხორენელის ახსნით, ის მსახური დედაკაცი ნინო არის, და მეფე მირიანი, იმ ნაირს საწაულს აწერენ არა სვეტსა, არამედ რომელსამე ჯვარსა, რომელიც დღემდის პატივცემულია ქართველებისაგან, აგერ სრულად მოთხრობილია მოკლედ მთელი ისტორის შინაარსი! როგორც გამნათებელი სასულიერონი რომითგან გამოგზავნილნი იყვნენ, ისევე რომის პაპი წმ. სილიბისტრე უგზავნის მოციქულს და ულოცავს ნინოს და მირიან მეფეს ქრისტიანობას დააკავშირებს ერთს წაკათოლიკე სამოციქულო ეკლესიასთან ქრისტესი უცვლელათ, რის გამოც მცხეთის სამამამთავრო დედა ეკლესიას ეძლევა უფლება კათოლიკე ეკლესიად წოდებისა; ამიტომ ქართველთ საეკლესიო ცხოვრების მწერლობა ყოველ გან კათოლიკე ეკლესიად იხსნიებს მცხეთის დედა ეკლესიისა, ქართ. ცხ 97 გვერდი, თუ. სამამამთავრო ეკლესია კათოლიკე არის, მაშინ მთელი ქართველებიც კათოლიკე ქრისტიანენი ყოფილან თავიდგანვე, კათოლიკე მართლ მადიდებელნი. ესრედ კათოლიკე ეკლესია ქრისტეს სძლის სული დე ხორცია. მართლმადიდებლობა მისცა სამკაული სამსია, კათოლიკე სარწმუნოება რომ დავსტოვოთ ყურად ულებლად სიმბოლო ქრისტიანობისა და მართლ მადიდებელი სარწმუნება გავიხადოთ ალსარებათ და პიტულათ გასარჩევათ კათოლიკე თაგან. მაშინ ხომ კარგვანის სამოსი და სამკაულის ე. ი. ცარიელის ქრისტიანი სახელის პატივის მცემელნი ვიქმნებით და არა კათოლიკე ქრისტეს სარწმუნოებისა, ჯერ კათოლიკე სარწმუნოებას მქონეთათვისაც სარწმუნება უსაქმურად მკვდარია: „რა სარგებელია არს ძმანო ჩემნო, უკეთუ ვინმე ჰსთქვას სარწმუნოება მაქვს და საქმენი არა ჰქონდენ, ნუ ძალუძს მეცა სარწმუნოებასა ხოლო ცხონებად მისა." იაკობ. ბ. 14. გ. და მართლ მადიდებელთათვის რაღა სიკეთე იქმნება ცარიელი სახელით ქრისტიანობა". კონსტანდინეს მიუცია მირიან მეფის თხოვნისა ებრ იოანე ეპისკოპოსი, ორი მღვდელი და სამი დიაკვანი, ქართველების გასაქრისტიანებლათ, ესენი მხოლოდ სამეფო სასახლისა და მის კარის კაცთა ძლივ იბრუნებდენენ გაქრისტიანებასა, დანაშთ სიმრავლისათვის უეჭველად სამესხეთო საიმერეთო დგან მოსული უნდა ყოფილ იყვნენ მღვდლები საქადაგებლად და სასწავლებლად სარწმუნოების ნაწილისა, რომ შესძლებოდათ ჯეროვნად მონათვლა დიდი ძალის სიმრავლისა ქალთ კაცამდის, მეტადრე რომიდგან, მოსულთ ენა არ იცოდნენ, საჭიროებდნენ ენის მცოდნე მღვდელთა და მოძღვართა

327 წ. ელენე დედოფალმა ქრისტეს ჯვარი იპოვნა. რა ჰსცნა მირიან მეფემ გაგზავნა მისალოცავად იოანე ეპისკოპოსი და სთხოვა სათაყვანოდ ძელი ჭეშმარიტი და მან სამსჭვალნი და ფიცარნი მოართვა და ხურონი ეკლესიების ასაშენებლად, ერთი ეკლესია ერუშეთს აშენდა, იქ დასტოვეს სამსჭვალნი, და მეორე ეეკლესია მანგლისს, იქ ფიცარნი უფლისანი და იტოვნენ. მცხეთას კი არაფერი. ქარ. ცხ. 92 გვერდი შესანიშნია. მირიანი ძელ ჭეშმარიტის ნაწილ სთხოვს კონსტანდინეს და ის ფიცრებს და სამსჭვალებს უგზავნის. ბერძნების მოკრებულს. ეკკლესიებს კი სამცხის ნაწილში აშენებენ; რადგან მანგლისი მესხეთის საზღვარში იყო, აქედგან ცხადათ სჩანს, რომ მესხობა ქრისტიანობაში იყო განმტკიცებული და მისთვის იქ აუგიათ ეკკლესიანი და დაუტევებიათ სალოცავად ძელი ჭეშმარიტის ნაწილნი და სამსჭვალნი სათაყვანებლად, რომ ახალ მორწმუნეთ მათგან ესწავლათ წესრიგი ღვთის მსახურებისა.

კათოლიკე წმ. ეკკლესიას I საუკუნოებაში მოციქულების დროთგანვე გაუჩნდათ მოწინააღმდეგედ ერეტიკოსები, სიმონ მოგვი კერონთა და გნოსტიკიანები გატაცებულნი მრავალნაირი საეშმაკო ჭორ-ზღაპრებ ოცნებითა სავნოდ ქრისტიანული სარწმუნოებისა! II საუკუნოებაში კარპოკრატე ალექსანდრიელი, ბასილიდი (არ წინააღმდეგი ძველის აღთქმისა,) როგორც მისი მსგავსი ვალენტინო და ოფიტინი გველოსანნი (წინააღმდეგნი ძველის სჯულისა,) ასევე კაენიანები, სოდომიანები და სხვანი! ასორთაგანი სატურნიდა, ბარდაწანი; მარკიონი (ებრაელთ წინააღმდეგი), ძე სინოპის ეპისკოპოსის და მისთანანი! III საუკნოებიში მანი შემცდარი, რომელისაგან იყვნენ მანიქეველები, საბელისაგან საბელიანები, მონტანისაგან მონტანიანები, ებიონისაგან, ებიონი ნები, თეოდოტისაგან თეოდიტიანები, არტემისგან არტემიანები,

პაველიკისაგან პაველიკიანები, დონატისაგან დონატიანები, ნოვატისაგან
ნოვატიანები და არიოსისგან არიოსიანები და მისთანა მრავალნი. ამისთვის იყო, რომ შეკრბა 318 მამათა კრება ნიკიის ქალაქში სილიბისტრე პაპის დროს დიდი კოსტანდინეს ხელმწიფობისა, და შეაჩვენეს ყველანი მწვალებელნი არიოსთან ერთად, 325 წ. და წაართვეს სიმბოლო სარწმუნოებისა, სადაც უმთავრეს ნაწილთა შორის აღიარეს **ერთი წმ. კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია** ქრისტესი; რადგანაც კათოლიკე ეკკლესია არის მასწავლებელი ქრისტეს მადლის სჯულისა და ისივე ჭეშმარიტი მმართველი ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანთ ეკკლესიებისა, როგორც ქრისტემ თავის ამაღლების წინათ უბრძანა პეტრეს: თუ გიყვარვარ მე აძოვენ კრავნი ჩემნი, ე.ი. სულიერი ღვთის სიტყვით ასაზრდოვე ერი ქრისტიანთა ზნეობრივად სჯულ კანონითა. მერმე უბრძანა, დამწყსენ ცხვარნი ჩემნი, ე.ი. სასულიერო პირნი მღვდელნი, წინამძღვარნი და მონასტრელთაგანიო. მესამედ უბრძანა, თუ გიყვარვარ მე დამწყსენ ცხვარნი ჩემნიო, (არაბულში ვერძნი ჩემიო) სწერია, ე.ი. ეპისკოპოსნი, მიტრაპოლიტნი, მამამთავარნი და კარდინალნიო; იე. კა. 15.16.17. ასრე გალობს აღმოსავლეთის ბერძნის ეკკლესია:" გამოუცხადა თავი თვისი მაცხოვარმან მოწაფეთა შემდგომად აღდგომისა: ხოლო შენ სიმან მოგცა ცხოვართა თვისთა მწყსვათ და სამ გზის ბრძანებითა ნაცვლად სიყვარულისა თვისისა. ითხოვდა შენგან ჩვენებად ზრუნვასა და მოღვაწებასა მწყემსისასა, ვინაიცა გეტყოდა შენ ვითარმედ უკ;თუ გიყვარ მე, დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი და კვალად აძოვენ კრავნი ჩემნი, რომელ მოვიგენ. და შენ სიყვარულისა წესით სხვისა მის მოწაფისათვის იკითხე, რომელთა ოხითა სამწყსოი შენი იხსენ ქრისტე გამრყვნელთა მგელთაგან!- პეტრემ რათ იკითხა იოანესთვის, რა მიმართობა ჰქონდა მას პეტრე მოციქულის მწყემსურს დიდს უფლებასთან? ეს მიმართობა ჰქონდა, რომ ქრისტეს ჯვარცმისა, მის ჯვარ ქვეშ მდგარი ღვთის მშობელთან ერთად, წარმომადგენელი იყო მთელი ქრისტიანებისა. მით ქრისტემ თავის სულამომავლობისა ღვთის მშობელი იოანე მახარებელს ჩააბარა და იოანე მახარობელი ღვთის მშობელსა ჩვენს სანუგეშოდ. მის გამო პეტრეს შეკითხვა იოანესათვის მთელ ქრისტიანობის მზრუნველობის და მოღვაწეობის სურვილს მოასწავებდა: მით ეკკლესია ჰხსოვს ღმერთსა მათის მეოხებით იხსნას ქრისტიანენი გამრყვნელ მწვალებელთაგან. თქმა იყო ქრისტემ თავის დედას იოანე თავის მაგიერ შვილად გაუხადა, და იოანეს ღვთის მშობელი მცველ-მფარველ ღვიძლ დედად, რითაც ქრისტიანენი მისი მიხედვით ღვთის მშობლის სულიერ ღვიძლ შვილად გავხდით და ღვთის მშობელიც ქრისტიანეთ მზრუნველ ღვიძლ დედის უკეთეს დედად გაგვხდომია თავის მეოხებით მცველ მფარველად მარადის და უკუნისამდე. ნიკიის მსოფლიო წდ. კრებით არა თუ მოაკლდნენ ერეტიკოსები და უკუ დგნენ, არამედ უფრო გამრავლდნენ სხვა და სხვა წვალების ერეტიკოსები, რომელთაც ხელს უწყობდნენ კარის კაცნი, დიდკაცობა გაცივებულ გაგრილებულნი და სამსახურის კაცნი, სამხედრო თუ სამოქალაქონი დაშორებულნი ღვთის მსახურებისაგან თავიანთ სიწამხდრითა! 347 წ. კერძო კრება მოხდა სარდიკისა, ნიკიის მსოფლიო კრების დასამტკიცებლად და წმ. ათანას მამა—მთავრის გასამართლებლად არიოსიანების ცილის წამებისაგან. შეაჩვენეს ფოტინა ერეტიკოსი და განაწესეს 20 კანონი წესიერებისათვის სასულიერო პირთა.

ბ. მსოფლიო წმიდა კრება კონსტანტინეპოლისა, 150 მამათა დამარ პაპის დროს დიდი თეოდოს ხელმწიფობაში, სადაც შეჩვენდნენ სული წმინდის მგმობელნი მაკედონ ერეტიკოსი და აპოლინარი· აქ შეავსეს მრწამსი და თქვეს:„ სული წმიდა უფალი და ცხოველ მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძესათანა თაყვანიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.„ 1) ეს მოხდა 381 წელსა.

გ. მსოფლიო წმიდა კრება იქმნა ეფესოს 431. წ. კელესტინ პაპს დროს მცირე თეოდოს ხელმწიფობასა, 200 მამათაგან. სადაც შეაჩვენეს ნესტორი კონსტანტინოპოლის პატრიარხი ერეტიკოს ღვთისმშობლის მგმობელი და ყოვლად წმიდ ქალწული დედა მარიამი ჰქადაგეს ღვთისმშობლად

დ. მსოფლიო წდ. კრება იქმნა, ქალკედონს 451 წ. 630 მამათა, ლეონ პაპის დროს, მარკიანე ხელმწიფობასა, სადაც შეაჩვენეს ერეტიკოსნი ევტიქი, დიოსკორო და სევეროს შემრეველნი ქრისტეს ორის ბუნებისა და ნესტორიცა კვალად.

ე. კრება მსოფლიო ბ. კონსტანდინეპოლს იყო

1) წმიდა კრება ჩვეულთ, რაზედაც იქმნება შესვლ მწვალებლობა, მხოლოდ იმაზედ ჰსჯიან და გარდასწყვეტდ რადგან სული წმიდის გამომავლობაზედ მისაგან არა ვის ეჭ არ ჰქონდა; ამისთვის მამისაგან აღიარეს მის გამომავლობ როგორც ერთის წყაროთგან. ვ. მ.

553 წ. 170 მამათა ვიგილიო პაპის დროს და უსტინიანეს ხელმწიფობისა, რომელთაც შეაჩვენეს თევდორე მოფსოვესტელი, ორიგინე, თევდორე ტეკვირელი, დიდიმო, ევაგრე. 12 თავნი თეოდორიტესნი წმ. კირილეს წინააღმდეგნი. იბასი და სხვაცა მწვალებელნი. არ იკმარეს ბერძნებმან ამდენი მწვალებლობის გამრავლება, საითგანაც წარმოდგნენ მრავალი უბედურებანი, დევნულება მართალთა არეულობა, შფოთი, უსამართლოება, კაცისკვლა, და სხვანი. დასძინეს ამათ ზედ უარესი უკუღმართობის წერტილი, სიდგანაც შეირყა მათი ქრისტიანობის მრთლიობა, კონსტანტინეპოლის პატრიარხს იოანე მმარხველს თავიანთ ამპარტავნობით მისცეს რომის პაპების თანასწორი პატვტიტულად და იმანაც მედიდურებით მიიღო 582, წ. არ იფიქრა წინ დაუხედაობით, რომ ამით განყოფილებას აგდებდა რომის კათოლიკე ეკლესიასა და ბერძნების მართლ მადიდებელ ეკლესიის შუა და მით არღვევდა ქრისტეს წმ. ეკლესიის ერთად ერთს მრთლიობასა, რომელიც რომის ეკლესიამ სულ არ მიიღო, სწორედ ისე, როგორც ადამმან მოინდომა ღალმერთება მედიდურებით და ვერ ღალმერთდა, წინააღმდეგ არა თუ მარტო სამოთხე, ისიევ ღვთის მადლი და კაცობრივი ნიჭიერებანიც დაჰკარგა ერთიან. ისე მოუვიდა ბერძნის ეკლესიასა შორის უპერეტლობით, იმდენი ენება და უბედურება იმდენმა მწვალებელთ ვერ მოუტანეს ერთიან რამოდენი უბედურება და დაცემა შემდეგში განყრილობამ მოუტანა, ერთის წმიდა-კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაგან! 590, რა ამორჩეულ იქმნა დიდი გრიგოლი პაპად რომისა მიიღო თავს ტიტულად; „მსახურთ მსახურთა ღვთისა შესარცხვენელად გაამაყებულ ბერძენთა და დღესაც ისევე ტიტულია პაპებისა.

ამდროს იყო კვირიონ კათალიკოზი ქართველთა, რომელმანც მიიღებინა ქართველთ. დ. მსოფლიო ქალკედონის წმ. კრება მართლ მადიდებლად, იქამდის სომხებს შეეცდინათ, მესხებს კი თავიანთგანვე მიღებული ჰქონდათ ის კრება. ეს სიმონ (კირიონ) კათალიკოზი ფოცხველი იყო, ყურდის სოფლითგან. ამ კვირიონს მისწერა წერილი წმ. გრიგოლ პაპმა და გაათუხილო, აღარ მიელო ევტიკის წვალებასნი ეკლესიაში, რომელნიც თავს მალავდნენ მზაკვრობით. ესევე გრიგოლ დიდოგი იყო მოხსენებული ჩვენს ქართლის ცხოვრებაში, რომ დიდად აქებს თავის წიგნში ღვთის მსახურებას პეტრე ქართველის მაიუმის ეპისკოპოსისა. ქარ. ცხ 103 გ.

ვ. მსოფლიო წმ. კრება იყო მესამედ კონსტანტინოპოლს 680, 681 წ. 288 მამათა აღათონ პაპის დროს და კონსტანტინე პოღონატის ხელმწიფებასა, სადაც დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება და შეაჩვენეს ქრისტეს ერთ ნების აღმსარებელნი. თევდორე ფარანელი ეპისკოპოსია სერგიოს და პიროს, პავლე და პეტრე მღვდელთ—მოძღვარნი კონსტანტინეპოლისა, ონორიოცა რომის წინამძღვარი, რომ მაშინვე არ დასჯა ფიცხელად ქრისტეს ერთი ნების მიმდევარნი. კვიროს ალექსანდრიელი, მაკარ ანტიოქელი და სტეფანე მოწაფე მისი, რომელთაც გაახლეს წვალება აპოლინარისა, სევეროსსა და თემისტესი უსჯულოთა, ამ კრებაში შეიწყნარეს წმ. აღაგონ რომის პაპის მოწერილი წერილი კონსტანტინე კეისართან. რომელსა ეწერა განკვეთა და განყრა ყოველთა, რომელთა ჰქადაგეს ერთა ნება და ერთი საქმე ქრისტესი.

717 წელს ასტეხა ხატთა ბრძოლა ლეონ ისავრელ კეისარმან კონსტანდინეპოლისა, რის გამოც მრავალგან საკეისროში უწყეს მუსვრა, ლეწვა, მტვრევა, წვა და დაგვა წმიდა ხატთა საღმრთო და წმიდათა. გერმანე პატრიარხი განაძეს ექსორიას, იოანე დამასკელსაც ხატთ გამოსარჩლებისათვის უმტრო, მით ამირების მთავარმან ხელი მოსჭრა იე. დამასკელს, მაგრამ სასწაულით ღვთის მშობელმა ისევ გაუმრთელა. გასაოცებლად ამირების თავისა მაჰმადიანთა. მისმა შვილმან კონსტანტინ კოპრონიმან უარესი დევნულება ჰქმნა: ანდრია კრიტელი მარტომყოფი კალიპიდად თქმული, მწარე ტანჯვით მოაკვლევინა და გვამი ზღვაში ჩააგდებინა; აბბა იოანე მონაგრისა დააკოჭვინა ხარანში და ზღვაში ჩაალუპინა. კიდევ კრიტელი აბბა პავლე ჩამოაკიდევინა თავდაღმა და ცეცხლით დააწვევინა.. ეფესოს ქალაქში, 38 ბერი ცოცხლებრივ გამოაწყვდევინა ერთ ძველ შენობაში და მშიერ მწყურვალე დახოცა შიგ, მრავალ ნაირი ტანჯვით მოაკყვევინა სასწაულ მომქმედი წმ. სტეფანე აბბა ნიკომიდელი; ასრე კონსტანდინეპოლში სტანჯავდა 42 ბერსა სატუსაღში.

ამ'რიგადვე მდევნელი იყო კოპრონიმოს შვილი ლეონიცა. იქამდის შეირყა საბერძნეთში ქრისტიანობა და მოედინი დარჩა ევტიქიან მწვალებელ პატრიარხთა, რომ მართლ-მადიდებლობა აღარ დარჩა საბერძნეთში და იოანე გუთელი ეპისკოპოსად მცხეთის ეკურთხა, 758 წელსა. ქრ. 77 გვერდი. სამოთხე 488 გ. სწორეთ ამ ევტიქიან პატრიარქე-

ამან შეიტანს სახელმწიფოში მრუშობისთვის ქორწინების დარღვევა წინაამდეგ ქრისტეს ბრძანებისა, რომელნიც ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს, რითაც შეურაცხ-ჰქმნილია დღესაც მართმადიდებლობა!

691. ტრულის კრება იქმნია ხუთ ექვსიანად წოდებული ერთ გუმბათოვან სასახლეში კონსტანდინოპოლს, 211 ეპისკოპოსთა, სადაც განაწესეს 102 კანონი ოთხმა საპატრიარხომ აღმოსავლეთისა, გარნა დასავლეთის ეკლესიამ არ მიიღო, თუმც უმრავლესი კანონები საქებულნი იყვნენ, მაგრამ კათოლიკე ეკლესია არა სჯით მათ, როგორც უმეცრების შედეგს. ამბობდნენ ბ. კანონში: ვამტკიცებთ 85 სამოციქულოდ წოდებულ კანონისთა, რომელიც წინათვე წმ. გელასიო პაპს ყალბ კანონებათ ეცნო, გამოძიების შემდგომ იგ. კანონში აყვედრიდენ რომს, რომ უცოლო მღვდლები ჰყავსო ნე. კანონში იწუნებდნენ შაბათ დღეს მარხვის შენახვას. უშლიდნენ პირუტყვ სისხლისა, დამრჩვალისა და უდანოთ დაკლულის ჭამასა. პმ. უშლიდნენ კრავის სახით ქრისტეს დახატვასა; აი ასრე პირველშივე ამ ნაირი სულელური ნაყოფი გამოილო იოანე მმარხველი პატრიარქის რომის პაპების თანასწორობით ტიტულმან!

ზ. მსოფლიო წმ. კრება იყო ნიკიის ქალაქში ხატთა მბრძოლთათვის, 787წ. I ანდრიანე პაპის და კონსტანტინე ხემწიფობისა, სადაც 377 ეპისკოპოსთ შეაჩვენეს მოწინაღმდეგე შემცდარნი და აღადგინეს ისევ პირველ ებრ ხატთა თაყვანისცემა და პატივი.

355 წ. მიქაელ კეისარმან თავის უთაურობით ქვეყნის მართვა მიანდო თავის დედის ძმას ვარდოს ბოროტ კაცსა, რომელსაც თავის ქალობილი ცოლათ შეერთო სჯულის კანონის წინაღმდეგ. რომ უშლიდა წმინდა იგნატი პატრიარხი, გარდააყენა თანამდებობითგან და ტერევინთოს კუნძულში განაძია და თავის მომხრე მდივანი ფოტი (მწყალობელი უწმინდურებისათვის გადაყენებული მწვალებელი სირაკუზის გრიგოლ ეპისკოპოზისა იგნატი პატრიარხისაგან), წამოაღგინა წინ, 5 დღეზედ აკურთხებინა პატრიარხად ისე, ა. შემონაზონდა, ბ. 4. მცირე აღსავალი მიიღო გ. დიაკვნობა და მთავარდიაკვნობა. ე. მღვდლობა და ვ. დღეს ეპისკოპოსობა და პატრიარხობა იმ გადამდგარი სირაკუზის ეპისკოპოსის გრიგოლის ელ-დასხმით. 858. წ. პირველში მოატყუვლა რომი შესყიდვით პაპის მოციქულებისა მით 861. კრებით ეაჩვენა ფოტმან წმ. იგნატი პატრიარხი, რომ თვითონ დამტკიცებულ იყო პატრიარხად. 863. წ. რა ჰსცნა 1 ნიკოლო პაპმან ყოველი სიბოროტე ფოტისა, რომში ჩადგენილი წმ. კრებით გარდააყენა პატრიარხობისაგან და ისევ მართალი წმ. იგნატი პატრიარხი დაამტკიცა ჯეროვან პატრიარხათ 866 წ. ფოტმაც შეაჩვენა პაპი თავის მომხრე სამღვდელოებით და იწყო წერა რომის კათოლიკეთ ნაკლებულობაზედა. ა. სულის წმიდის მამისაგან და ძისაგან ამბობენ გამომავალად. ბ. ხმიადით სწირვენ, გ. მღვდლები წვერ-ულვაშს იპარსვენ. დ. დამჩვალთ და უდანო დაკლულთ სჭამენ. ე. შაბათობით მარხვასა ინახვენ, ვ. დიდ მარხვაში წველეულს ხმარობენ დასხვა ამისთანა უბრალო რამეებს ბრალად სდებდა საწყალთა და უგუნურ ხალხთა მოსატყუებლსა. ვიდრე ცოცხალი იყო ვარდო ნავარდობდა, ფოტი თავის ნებისად, და რა მოუკვდა მცველ მფარველი, გაუცუდდა ფოტს თავის საწადელნი. მანამდის ბევრი ღვარძლი კი დასთესა სასულიერო წოდებაში რა გამეფდა ვასილ ეკისერი შეაწყვდიამე შფოთრობისათვის ერთს მონასტერში და დააჯდინა წდ. იგნატი ნამდვილი პატრიარხი კონსტანდინეპოლისა, სთხოვა ვასილმან II. ადრიანო პაპს მოსპობა მწვალებლობისა.

869. წ. იქმნა მსოფლიო წდ. კრება II ადრიანო პაპის დროს ვასილის ხელმწიფობისა, 162 ეპსკოპოსებით კონსტანდინეპოლსა, სადაც ვ. მოციქულნი იყვნენ პაპისა, გარდააყენეს ფოტი შეამწყვდიეს ერთს მონასტერში და დამტკიცეს წდ. იგნატი პატრიარხად ცოცხლებრივ მწარედ წამებული ფოტსაგან. განაწესეს 22 კანონი ფოტისაგან ამტყდარი მწვალებლობის მოსასპობლად, მიიღეს მამებმან წინა შვიდი მსოფლიო კრებნი მერვე კრებასთან ერთად წმიდად, და შეაჩვენეს ყოველი მწვალებლები ერთად 878 წ. რა გარდაიცვალა წდ. იგნატი პატრიარხი, დასწერა ფოტმან ცრუ ჩამომავლობა ვასილ კეისრისა ძველბურის წერილითა, რომ იმის მეტს არავის არ შეეძლო წაკითხვა ძველს ეტრატზედა, როგორც თუ დიდი გვარისაგან ჩამომავლობდეს ვასილ სომეხი, ჩასვა საგანგებო ბუდეში და შეატანინა მის მდივანს თეოფანეს სამეფო საწიგნეში, რა ნახა შემთხვევით მეფემ მოინდომა შეტყობა მისი შინაარსისა.

(გასაგრძობია.)

რედ.-გამომც. პ. დ. მულაშოვი.

სტამბა „გუტენბერგისა“ ბ. ს. ეხაძე. სასახლის ქუჩა.